

აღზრდა უვილისა

პედაგოგიური წერილები დედასთან

ერნესტ ბემენი

აღ. ნათაქის-მიმრ.

1541

~~უბრუნებულია~~ 193 X

კ. უ. წ. ბ. ს. მ. ქ. თ. ი. ს. გ.
 ბ. ლ. ს. მ. ს. მ. ს. მ. ს. მ.
 მ. ლ. ს. მ. ს. მ. ს. მ. ს. მ.
 კ. უ. წ. ბ. ს. მ. ქ. თ. ი. ს. გ.

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
 ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“
 ი. ჭავჭავაძე.
 „ყოველი წუთი თავისუფალი დროსი
 აღამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს.“
 კონფუცი.

კ. ჭეთაიძის საბ. საჯარო
 ბიბლიოთეკა
 БИБЛИОТЕКА
 БУД. ГОС. ПУБЛИЧНАЯ

ფიზსსცაკის ბიბლიოთეკის
 სტამბა ეკთავი ივ. ხელაძისა.
 1896.

Дозволено цензурою, Тифлисъ 11 сентября 1896 года.

ბეძეს შესანიშნავი წყვილები ჰყენს ენაზე ასე მარტო
 ტყუად გადმოღებით, ბნმა ნათამემ მვირფასი განძი შეს-
 ძინა სასოგადოთ ჰყენ მწერლობას და კერძოთ ჰყენ
 დედებს.

ვისურვებთ, რომ შრომა ბ. ნათამისა სძაღ ძლელა-
 დებლისა უდანოსსა შინა არ დაწმომილიყოს და ეო-
 ველი დედის წიგნოსაცავის აუცილებელ კუთვნილებად
 გამხდარიყოს იგი, რისაც სამართლიანად მარად ღირსია
 ეს წიგნი!..

აჟანე ოსტომაშვილი.

ს ა რ ჩ ი ვ ი

წერილი პირველი. ყოველი დედა უნდა სცდილობდეს, რომ შვილის აღზრდის საქმე კარგათ შეისწავლოს.

წერილი მეორე. ყმაწვილი პირველ დღეებიდანვე წესიერს ცხოვრებას უნდა შევაჩვიოთ.

წერილი მესამე. წმიდა ჰაერზე ბავშვების გაყვანა. გამღლები. ყმაწვილების დაშინება. ბავშვისაგან ენის ამოდგმა. როგორ უნდა ველაპარაკებოდეთ ბავშვს. ბავშვის ჯდომა და სიარული. საჭიროა თუ არა სათამაშოები. გართობა ყმაწვილებისა.

წერილი მეოთხე. ბავშვის პირველი გაცნობა გარემო საგნებთან.

წერილი მხუთე. თვით-მცველობის სწავლება ყოველ გვარსხეა შემთხვევაშიაც: ჩაცმა-დახურვაში, პირის-ბანაში და სხვა. ბავშვის დასაქმება, თვით-მოქმედება. დაცინვა, მასხრობა, თამაშობა და სათამაშოები. ნახატები ანუ სურათები და მათი დიდი მნიშვნელობა.

წერილი მამეშვი. მორჩილება. ბავშვებს ცოდნით და სიფრთხილით უნდა ვექცევოდეთ. დაშლა და აღკრძალვა, ბრძანება. ჯილდოთი და დაპირებით მორჩილების გახსნა ბავშვში. მორჩილება სასჯელით არ მოიპოვება.

წერილი მამუვი. ჯიუტობა ბავშვისა. ცემა. ჟინიანობა.

წერილი მერვე. ზეობა, თავმოყვარეობა და ეგოიზმი ბავშვში. ალერსი. ტოლ-ამხანაგები და მშობლების მოვალეობა მათ შესახებ. პირველი გაკვეთილები ღმერთზე და სიყვარულზე.

წერილი მეთხრამე. ბავშვის ავთმყოფობა. აქიმი. გამობრუნებული ავთმყოფის მოვლა. სხეულის გამაგრება.

წერილი მათე. ჭამა-სმა. სეირნობა. გართობა. წიგნების კითხვა. კოლლექციების მოგროვება და მისი ცუდი მხარეები.

წერილი მეთერთმეტე. ყმაწვილების სკოლისათვის მომზადება. გრძობათა იარაღების გახსნა ბავშვში სკოლაში მიბარებამდის. კარგათ გამოთქმის სწავლება. ყველა ყმაწვილს სწორე წარმოდგენა უნდა ჰქონდეს რიცხვებზე სკოლაში მიბარებამდე. პირველ-დაწყებითი არითმეტიკის სწავლება. წერა-კითხვის სწავლება.

წერილი მეთორმეტე. სკოლიდან დაბრუნებულს მოსწავლეს უნდა დახმარება გაკვეთილის დასწავლაში, თუ, არა? საჭიროა თუ არა გაკვეთილების აღნიშვნა დღიურებში. მომზადებულის გამოკითხვა-მოსმენა და მისი მნიშვნელობა.

წერილი მეთრამეტე. მშობლებმა თავიანთ შეილებს ზნე-ხასიათები დაწერილებით უნდა უამბონ ხოლმე მასწავლებელს, რომ მას შეეძლოს შეფარდება აღზრდის ზომებისა ახლათ მოზარებულ მოწაფის ხასიათებთან.

წერილი მეთოთხმეტე. როგორ და საიდან ეჩვევიან ბავშვები ტყუილის ლაპარაკს? სიმართლე უმთავრესი წყაროა სათნოებისა.

წერილი მეხუთმეტე. ზოგიერთი მშობლები თავიანთ შეილებს უნებლიეთ ტყუილის თქმას ასწავლიან. პირადი თავისუფლების შეზღუდვა და შეუსაბამო მოთხოვნებიანი ხელს უწყობენ ბავშვებში სიცრუის დაბუდებას.

III

წერილი მეთექვსმეტე. შიშს შეუძლიან ბავშვი სიცრუეც მი-
აჩიოს.

წერილი მთავრმეტე. როგორ ავაშოროთ ბავშვებს სიცრუე
და როგორ შევაცუაროთ მათ სიმართლე?

წერილი შპანასკნელი. ტყუილის თქმის საწინააღმდეგოთ კარგ
საშუალებათ აგრეთვე უნდა ჩაითვალოს ბავშვში სარწმუ-
ნოებრივი გრძობის ჩანერგვა.

წაკრილი პირველი.

მოწყალეო ხელმწიფე! მოგილოცავთ უძღლეს ბედნიერებას—
ღვლად გაბლმას! მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შეიძლებო
სამაგალითოთ შესარულოთ დედის წმინდა მოკალეობა და ამიტომ
დედის სამოკნებით ვასრულებ თქვენს თსოვნას—შეგწიოთ შეი-
ლის აღზრდაში...

ყან-პოლმა სიტყვა ერთხელ: „მოგვეციოთ რიგინი ღვლები და
ჩვენ საუკეთესო კაცები გვეყოლებო!“ და განა რა აკლავთ ჩვე-
ნი დედების უმეტეს ნაწილს? ერთი რამ: მოკალეობისადმი მოუმზა-
დებლობა! ძნელათ თუ დაიჯერებს ვინმე ამას, მაგრამ სრული ჭკუ-
მარბიტება-კია! ან რა საჭიროა, გვეუბნებიან ჩოგაერთნა, ამ მოკა-
ლეობისათვის ქალის მომზადება, როდესაც ყოველი ქალი თვით ბუ-
ნებით დედად არის შექმნილიო?

მაგრამ, სხვა რომ არა ესთქვათ-რა, რამდენი ქალი მინახავს,
რომელიც განსოცარ ნაჭს იხეხენ სასოგადო თუ კერძო შექვევაში
და ბავშვებთან-კი გარდა მოწყენისა და დაღლვისა, სხვა არაფერს
სამოკნებას არა გრძნობენ. ამისა მარეუბი კი ის არის, რომ ჩვენ
ქალებს უმარწილობადგანვე არ ვუნერავთ დედის წმინდა მოკალეობის
დიდ მნიშვნელობასა. თქვენა მწერთ, —ასე მეუბნებიან ჩემი ნაცნო-
ბებიო, რომ მეტად მძივე საქმეა ბავშვს აღზრდაო; მაგრამ ნუ
დაუჯერებთ მათ, რადგანაც არც ისე ძნელი საქმეა შეიღის აღზრდა,
რომ სამარისად ვერ შეისწავლოს იგი ყველა მშობელმა...

საჭიროამ ხოლოდ შეგნება და სიყვარული ამ საგნის შესწავლი-
სადმი, თორემ დაუძლეველი აქ არაფერია... და რაც შეგესებათ თქვენ,
მე წინათვე შემოღიან ვიწინასწარმეტყველო, რომ თქვენ ღლითა-

დღე უფრო და უფრო გაგიძლიერდებათ სურვილი თქვენ ბავშვთან უოფენისა და იმ საათებს, რომლებსაც თქვენ სსკვან გაატარებთ უამისოდ, უშვილებოთ, ტანჯვის საათებად ჩასთვლით მარად! დიას! ბედნიერია დედა, რომელსაც შვილების ზრუნვაში და აღზრდაში გაუტარებია თავისი დღეები! გული მისი მარად საკსკა სინარულით და ეს შინაგანი კმაყოფილება არის მისი უდიდესი ჯილდო. გამოჩენილი კაცები ღრმა პატივის ცემით და მადლობით იხსენიებენ თავიანთ დეებს; თუმცა მამებსაც იხსენიებენ ამგვარის პატივით, მაგრამ დედას მეტად პირველი ადგილი უჭირავს მათს გულში. ეს-კი იმას ამტკიცებს, რომ დედის გაკლენა ფრიად დიდია შვილზე და ამიტომ ღირს მათ, რომ დედამ შრომა დასდოს შვილების კეთილ აღზრდაზე...

წმინდი მამა.

თქვენს უკანასკნელს წერილში ორი დიდი შეცდომა აღმოვაჩინე, რომელიც მით უფრო მისატყუებელია, რომ დედების უმეტესობას კეთილად მიაჩნია ივანი. პირველი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ ფიქრობთ: „ეხლა შალიკოს არა გაეგება-რა და ანტიომ რა საჭიროა მის აღზრდაზე ზრუნვაო!“ სრული ჭკმძირატებაა, რომ პირველი ორი-სამი კვირის განმავლობაში, ბავშვს მეტად ცოტა რამ გაეგება, მაგრამ, დაწმუნებული ბრძანებოდეთ, რომ ამ სანაშად უფუზადლებოდ დატოვებული ბავშვი ძალიან ირყუნება.


თქვენი მეორე შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ ფიქრობთ: „ბავშვს იქნება რომელიმე ბიწიერება თან დაყოლილი აქვსო და ბუნებით ნაკლულივანებას ვერც წესიერი აღზრდა უშველის რასმეო!“ სწორეთ აი ამ ორ შეცდომილებაში იმალება ის საფუძვლები უწესო აღზრდისა, რომლითაც ასე ხშირათ მართლუფლებენ თავსა უეცნი აღმზრდელები. ეს გარემოება მამოულებს დავიწყო თქვენთან საუბარი აღზრდის ანბანიდან, ე. ი. იმ წესების

ადნიშენიდან, თუ როგორ მოქცეოთ თქვენს ბავშვს ჰირველ ხსენებში.

როდესაც დაიბადა თქვენი შალიკო, მის გონებით მოქმედებას ეძინა და მხოლოდ საგნების და მოკლენათა შთაბეჭდილების ზეგავლენის წყალობით დაიწყო ნელ-ნელა გამოვლიძება. ახლად დაბადებული ბავშვი შეუგნებელია: იგი თავის მოთხოვნილებას და სურვილს ყვირილით ატყობინებს მშობელს, მაგრამ ყრუდ, რადგან ეს მოთხოვნილებაც მისთვის ჟერ-ჟერობით შეუმძნებელია. მართალია, მისი თვალები ჭებადმენ, მაგრამ გარკვევა და დათვისება-ვი არ შეუძლია. სწორეთ ამგვარათვე, თავის ცხოვრების ჰირველს დღეებში, ბავშვი განურჩევლათ სვამს-ეველათურს მწარეს ისე, როგორც დედის ტბილ რძეს, მერე-ვი, გრძნობა-გემოვნების ვარჯიშობის შემდეგ, მიჭსვდება ხოლმე უპირატესობას ერთისა მეორეზე.

თქვენი შალიკო, როგორც იწერებით, ჟან-სალი ემაწილია და ეველათ ჟან-სალი ემაწილიეით ეტკენ, რასაკვირველია, მოთხოვნილების დაემყოფილების შემდეგ, იწევა თავის ლოცინში მოსვენებით და გარემო საგნების შინჯვაში იჭნება.

აი, თვალები მისი მისჩერებას საგნებს და მათ შინჯვამის; მოდი და ნუ განისარებს ამ სურათის მტკერალი დედის მოსიყვარულე გული! სისარული სძლეკს დედას, მივარდება ბავშვს, ამოიტაცებს ლოცინიდან და აქათ-იქით ატარებს და არწეკს მას. აი სძმირკველი ნებირობისა! ამის შემდეგ, როდესაც დაწვეკენ ბავშვს, ის გრძნობს, რომ რადან აკლია, დაიწეებს ტირილს და იმ დრომდე არ ჩუმდება, სანამ სელმეორეთ არ აიუვანენ და არ გაატარებენ. ესევე უნდა ითქვას შესახებ აკნის დარწვეკისა და ნანინას სძმერისა. ღმერთმა-ვი დამითაროს ვთქვა, რომ აკნის ერთი დარწვეკით ან ნანინას ერთი თქმით ბავშვი გათუქდება! არა, მე ას მინდა ესთქვა, რომ, თუ დედა მუდამ ხმარობს ამ საშუალებას, მაშინ თქმა არ უნდა, რომ იგი თითქოს განგებ ათეისებს ბავშვს იმისთანა მოთხოვნილებებს, რომელნიც მას წინეთ სრულიათ არა ჭჭონია... მაშ ეტრე: თუ თქვენი შალიკო მოსვენებითა წეკს და ატეეტს აქეთ-იქეთ თვალებს, იცო-

დეთ, რომ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებულია. გემუდარებით—
ნუ ასლებთ ხელს! დეე იწვეს აკვანში რამდენიც უნდა. ვინც გუ-
ლი ვერ მოგისვენებთ, რომ არ დააფრინდეთ თქვენ საყვარელ არსე-
ბას და აკვანდან არ წამოიტაცოთ, მაგრამ გახსენეთ რამდენს და-
მეს გატავალდებთ თქვენ მაგისი გარყვანა და ამიტომ მოითმინეთ!..
გამონდობებით ვიცი, რომ რიგაანათ აღზრდილი ბავშვი არამც თუ არ
საჭიროებს ხელში აყვანას და დარწმუნებს, ზირობით, უსიამოვნებასაც-
კი აყენებს ეს მას. ამიტომ გირჩევთ უთუოთ მიანიჭოთ თქვენნი შალიკო
რიგაან ხანიათებს, წესიერ ცხოვრებას. დიდ დანხარებას გაგიწევთ
თქვენ ამ შემთხვევაში ყოველ-დღიური ბანება ბავშვისა, რადგან შე-
ნაშნულაა, რომ გაბანების შემდეგ ბავშვები მუდამ უფრო მოსვენე-
ბით არიან. ამიტომ, დანიშნეთ ერთი მოსვენებულად დრო, უმჯო-
ბესი-კია საღამო, და ყოველთვის ამ დანიშნულ დროზე აბანეთ ხოლ-
მე თქვენი შალიკო. ბანობის შემდეგ საღ ბავშვს ბევრი სძინავს და
თქვენც ბევრი თავისუფალი დრო გექნებათ. 

წერილი მისამე.

თქვენ გადაგიწევიათ, რაც შეიძლება მომეტებული სანი ამ-
უოფოთ ხოლმე თქვენი შალიკო წმიდა ჭაერსე. მოსაწონი განძრა-
სკა. მაგრამ, ერთსა გთხოვთ: ჯერ თვით წადით და დათვალეოეთ
ის ადგილები, საითაც სინარულით გაემგზავრებიან ხოლმე გამდლე-
ბი. აქ თქვენ ძალიან ბევრ ცუდ რასმე წინასვით. მე ჩემი თვალთ მი-
ნასკვს რაც ამბები ხდება ამ სასუირონო ადგილებში და მისარაან, რომ
ღარიბი მშობლების ბავშვები მორიდებულნი არიან ყველა იმ საძა-
გლობას, რაც იქა ხდება. მაგრამ ლიტონი სიტყვა რა საკადროსია
აქ. ნება მომეცით გადავხადო ფარდა და თვალ-წინ გადაგიშალოთ
სასუირონო ადგილების ამბები. ვთქვით თქვენი ჰატარა სულდგმული
გამდლის მფარველობის ქვეშ წაბრძანდა სასუიროთ. უმაწვილს მზე
პირდაპირ თვალში შესრქვრია: ხანდახან გაქნევა-გამოქნევა უნდა,

საემწვილო ეტლში ფართხალებს, მაგრამ ვის შესტკივა მისთვის გული. გამდლებს ეჯავრებათ ამთი ტარება, რადგან ფეხით რომ ვატაროთ, ამით ყურისგდება უნდაო, რომ ან არ წაიქრეს და ან ტანისამოსი არ გაისვაროსო. წის ემწვილი ეტლში და გული ეთუთქება მარტობით. აი სძირკველი იმ სენისა, რომელიც სშირათ ეწვევა ხოლმე ზოგიერთ ემწვილებს! სახელი საემწვილას ამ საშინელი მტრისა არის მოწყენა!

ბავშვი სწუსს, სტირის, ეკებს გამდელს, მაგრამ სად არის გამდელი?! ის დობილებშია გართული, და თუ გამოინდა—კარგ-კარგებსაც შეუყურთხებს და დაუკავების მაგიერ ლაზათიან სალებსაც ატყევეს. მოზრდილი ბავშვები სომ განების გუდათ გადააქრეკიან ხოლმე და შინ მისვლისათნაკე მოჭსსნისან პირს და განებას კენჭებიკათ ისკრინან. მშობლებს-გი უგვირთ და აშობენ: თითქო სახელში გინებას არეინ აგონებს და საიდან ითვისებენ, თუ ბუნებრივი მიდრეკილება არა აქვთო?..

არიან მეორე ჯურის გამდლებიც: ბავშვი რომ სტირის, ესენი აშინებენ ხოლმე სხვა და სხვა სახელების დამახებათ, მაგალითად: „მოკიდა ბუა;“ „მტელი, მოდა წაიყვანე შალიკო“ და სხვანო. ეს მეორე ჯურის გამდლები პირველებზე ათასჯერ უფრო მკნებელნი არიან თქვენი შალიკოსთვის და ამატომ ერთდენით მათ.. გინებას და ცემა-ტყეპას ბავშვი კადეუ დაივიწყებს, მაგრამ შიში-კი ყოველ დღე ჭჭენჯნის მის ნორჩ გულსა. ცოტა მაგალითი-კი არ არის, რომ ამ გვარი დაშინებით ბავშვები ავთ გამსდარან და წუთისოფელსაც გამოსთხოვებიან უდროკოთ!.. მესამე ჯურის გამდლები, ცოტათი უფრო უკეთესება არიან პირველებზე, ნებას აძლევენ ითამაშონ ბავშვებმა განურჩევლად ყველასთან, როგორიც უნდა ემწვილი იყოს. მაგრამ ის-კი აღარ იცინან ამ დალოცვილებმა, თუ რა საფთოსილე მართებთ მათ ამ შემთხვევაში. როცა ბავშვები თამაშობაში წაიკადებინ ხოლმე, გამდელს გული მოსდის, არ იცის რომელი გაამართლოს, ან რომელი გაამტყუნოს და ერთ-ერთს მათგანს უჯავრდე-

შვილებსაც ართობენ და ყურს უგდებენ. აი სადილის დრო ახლოვდება: დედა გაუშლის რასმე თავის შვილს, დაჭსომს მას შორის ახლო და თითონ-გი სადილის თავდარივს შეუდგება. დედა აკეთებს სადილს, მაგრამ არც ბავშვი ჭყავს დავიწყებული ყურადღება მისკენაც აქვს მიქცეული. „აბა შესედე, აი შეშა, ამას მე ბუსხარში შეკერი, ხედავ როგორა დიდი შეშაა, როგორ არაკუნებს კიდეც. ახლა ჩეცხლი ავანთოთ: აი წუმწემა! (გაუსვამთ და აინთება). უფურე ჩეცხლი როგორ მოკეიდება შეშას! ახლა ქაბში წყალი ჩაგასსათ... აბა, აბა შესე, შესე! ახლა ჩეცხლზე შეკვდათ... ახლა ყური დაუგდე, როგორ წუნ-წუნს დაიწყებს! ახლა კართოფელს ჩაყერი. აი ეს ორი შენთვის მომიცია, არა სჭამო-კი, უმია და გაწეხს. აბა ნახე... ნახე. უმაწეილი შინჯავს და სხვა. ამ წიგათ დედან მუშაობს და შვილიც ადეუნებს თავს მის მოძრაობას, ისმენს მის სიტყვას, საგნების ხმაურობას და მოძრაობა-სისხარულშია: ხან დაიწყვილებს, ხან სხვა და სხვა ნაირათ მოძრაობს და უკვირს. ამ ნაირათ ბავშვი არც თითონ არის მოწყენილი, არც დედას უშლის საქმიანობას და მისი გრძნობაც კარვამობს. რასაკვირველია, რამდენიც განათლებული იქნება დედა, იმდენათ უფრო ბევრი ღონისძიება მოუზოგება, თავითონაც აკეთოს საქმე და შვილების გრძნობაც ავარჯიშოს. მხოლოდ სჯარათ, რომ დედა, რაც შეიძლება, უბრალო და გასაგებ ენაზე ელაზნავებოდეს თავის შაწაწინა შვილს. ბავშვი იზრდება სხვა და სხვა შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ; მაშასადამე, რამდენათაც უფრო ავარჯიშებთ ბავშვს ზემო-თქმულისამებრ, იმდენათ უფრო გაისხნება მისი გრძნობა-გონება. სათამაშოები აქ საჭირო არ არის. მეტი ბავშვს თუინდ ჩაის კოკი, ბავშვი აღტაცებაში მოვა. დაარაკუნებს, გადახბრუნ-გადმოხბრუნებს და ბოლოს შირისკენაც ივრავს. და ყველა ამას იმისთვის სჩადის, რომ ბავშვს ჭურს გაშინჯოს საგანი, კარგათ გაიჩნოს ისა. უფრო მოჩინდილი ბავშვიც კიდეც ამტკრევენ საგნებს იმ მიზნით, რომ გაიგონ, თუ რისგან არის საგანი გაკეთებული და შიგ რა არის. ბავშვი ბუნებით ცნობის მო-

ეკაჲ და დამკვირვებანია და ურადლებან უნდა გკონდეს მიქნეუ-
ლი ამაზე, რომ უდროვით არ დაეხმოს მას ეს თვისებანი. როდუ-
საც შელიყო ცნობის მოყვარეობით გატარებულად დაუწყებს საგნებს
მტკრევას და გლეჯას, ეცადეთ, რომ ეს ხასიათი ვნებათ არ გადა-
ექცეს მას. ხურც თვალთან ძალიან ახლო დააჭერინებთ წიკაებს,
თორემ სიბეცე დაეძარბება. არც იმის ნება უნდა მისცეთ შელიკოს,
რომ მოუსვენრათ ერთი საგნიდან მეორეზე გადავიდეს სოლმი: ჯერ
ერთი საგანი აწონ-დაწონოს კარგათ და მერე მეორე და მესამე...

წმინდი მართობა.

თქვენს მწერს, რომ შელიყო დაცრავს, დახარკობს და ეი-
დენ ესმას, რასაც ეტყვიან. ეს დრო უძნელესი დროა ბავშვის აღ-
ზრდაში. ახლა დაუდგა თქვენს შვილს ძნელი დრო; სასამ არ დადი-
და, სადაც უნდა დაგეგდოთ, შიში არა ჰქონდა არაფრისა, ახლა-გი
სულ სისკამ და ყველა დედა ყოველ გვარ სიფათს უნდა მოელოდეს
თავის შვილზე. დიან, დიდი სიფათსილე უნდა ახლა თქვენს შელი-
კოს, ბევრ გვარ სიფათს უნდა მოელოდეთ მასზე და ჩვენს წმიდა
კალია კარგათ გაკარგვიოთ ყველა ის საშუალება, რომელთაც უნდა
ავაშროთ მას თავიდან ეს ყველა გვარი სიფათი. წვრილმან სიფა-
თებიდან თავის დღეში კერ დაცრავთ თქვენს ბავშვს, მაშინ ის უნ-
და დაამწყვდიოთ ოთახში, რომელიც რბილი ბალიშებით უნდა იყოს
მოთენილი, რა, რომ წაიქცეს, რბილათ დაეცეს და არა იტყინოს-
რას; მაგრამ ეს ღონისძიება უფრო მაგნებელია, ვიდრე სასარგებლო.
ბავშვი ისეთს ჰირობებში უნდა იყოს, რომ მან პირველათვე ყოვე-
ლისთვის გამოცხადოს, ყველაფერი გაიცინოს; ამით გაიხსნება ბავ-
შვში ის მშვენიერი თვისება, რომელსაც ჩვენ თვით-გამოცდილობას
გუწოდებთ. ამისთვის თვითონ თქვენ უნდა შეამთხვიოთ სოლმი ჰა-
ტარა შელიკოს განგებ სხვა და სხვა საფუძვლები, რომლებიც, რასა-
კვირგულია, მაგნებელი არ იქნება მისთვის. ამით შეაჩვევოთ მას თა-

ვის თავის დაცვას სხვა და სხვა უკუღმართი შემთხვევებისაგან. ახსნათ ჩვენი აზრი უფრო თვალ-საჩინოთ: წარმოვიდგინოთ, რომ თქვენი შალიკო მარტოკა დარჩა ოთახში. ამ შემთხვევაში შალიკოს ძაღვ ნუ მიეშველებათ, იყოს ოთახში მარტოკა; ამით თქვენ მიანკვეთ მას ცხოვრებას უხალხლოთაც, რომელიც სხვათა შორის საჭირო იქნება მისთვის მომავალში. თუ ოთახში ისეთი რამ არის, რომლიდანაც ბავშვს შეიძლება დიდი ხიფათი შეემთხვას, მაგალითად, წუმწუმა, ანთებული ბუხარი, ადუღებული სამოკარი, — მაშინ აი ეს ღონისძიება უნდა ვიხმაროთ: სანამ შევაჩვევდეთ ბავშვს, თუ რა უბედურებას შეიძლება შეემთხვას ის ამ საგნებიდან, ეს საგნები უნდა მოაშოროთ მას. ბუხარის წინ ისეთი რამ დადეთ, რომ ბავშვი ბუხართან კვლავ მივიდეს და წუმწუმა და სამოკარიც მოაშორეთ. მერე-ვი ნელ-ნელა შეაჩვიეთ ბავშვი ამ საგნებიდან გამომავალს ხიფათს. ბავშვს ხელი დაადებინეთ ან სამოკარზე ან ნაკვერჩხაზე ბუხარში-ისე, რომ მას ცოტათი ხელი დაეწოს; მერე აიღეთ ქაღალდი, ბუხარში ჩაადეთ და უთხარით, რომ ბუხარში ეკვლა ასე დაიწყება-თქო, ვინც არ გაუფხილდება თავსა-თქო, შენი ხელიც, ფეხიც და ტანისამოსიც დაიწკის-თქო. მაგრამ ამასთან ბუხარს დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენთვისა-თქო; თუ ის არ იქნება, სადილს ვერ გავაკეთებთ-თქო, კერას მოხსარშავთ-თქო, მაგრამ ბუხართან ახლოს არ უნდა მიხვიდეთ-თქო, რომ არ დაიწო-თქო და სხვა. აგრეთვე წუმწუმაზე და სამოკარზე ელახარაკით და დარწმუნებული ბრძანებოდეოთ, თქვენი შალიკო ნელ-ნელა ისე კარგათ გაიგებს გარემო საგნების გამოსადეგ და საზიარო მხარეებს და თვისებებს, რომ მუდამ გონიერად მოიხმარს ამ თავის ცოდნას. იმას როდი ვამბობ, რომ ბავშვს ყურის გდება აღარ უნდა-მეთქი. მე იმას ვამბობ, რომ უკვლავიერი, რასაც ბავშვს უხსნით, მან საქმით უნდა გამოსცადოს თქვენი ზედამხედველობით...

ბავშვებს ძალიან უყვართ მოგროვება სხვა და სხვა ნივთებისა, რომელნიც-ვი მის უურადლებას მიიქცევენ რითიმე; მაგალითად, აგროვებენ ნემსებს, ქინძისთავებს, შუშის ნატეხებს, დანის ზირებს და

სსკ. აჭარ საჭირთა გამორადეკინით ბავშვის, თუ რა უბედურება მოე-
ლის მას ამ ნივთებიდან, თუ სიფრთხილით არ მოეჭვა მთ.
უჩხულოტო სელში ნემსით და უთხარით, რომ ნემსი უფრო ძრი-
ელ შეტერტობა, თუ არ გაფრთხილდი-თქო, აუხსენით დანაზე და
შუშის ნატყებზედაც. ამასთანავე უთხარით, რომ დანის ზირი, ნემსე-
ბი და სხვა ნივთები ჩააწყოს თავის ჰატარა ჰარკში, ჩაღოს მერე
ჰატარა ურემში და ნელა ატაროს; აქ თქვენვე ასწავლეთ, როგორ
მოახერხოს ეს საქმე. აგრეთვე ასწავლეთ, როგორ და რა სიფრთხი-
ლით აიღოს სოფლე ნემსი ან სხვა მისთანა ნივთი. ამასთანავე სი-
ფრთხილით მიანიჭეთ ბავშვი ყველა გვარ შემთხვევას. თუ ბავშვი
წაიჭვას, მაშინ მიდიოთ და ასწავლეთ, როგორის სიფრთხილით მო-
იჭვოს, რომ მერე აღარ წაიჭვოს. თუ დედის უნებურად აიღო რამე,
მაშინაც უთხარით, რომ მერე აღარ აიღოს, დაუმტკიცეთ, რა ენება
მოაჭვოს მისთვის ამ საქციელს. ამ ქვევით ბავშვში ბერ კარგს თვი-
სებას აღზრდით: ცხოვრების დაკვირვებას, თავის ძალის აწონვას,
რომ მას ყველაფრის გაკეთება არ შეუძლიან, რასაც მისი დედა აკე-
თებს და სსკ. აჭედანვე გაიხსნება ბავშვში კეთილშობილური თვისე-
ბა—მადლობის გარდახდა. როგორც თქვენ ექვევით შალიკოს, ისე
გამდელი უნდა მოეჭვოს მას. თუ რამე შეემთხვას გამდლის სელში,
მაშინ გამდელმა უნდა უთხარას, შენი ბრალია-თქო, ავი გითხარი მე-
ცა და დედაშენმაც, რომ გაფრთხილდი-თქო.

როცა ბავშვს რამე შეემთხვა და იტარა, ამის დასასრულებლად
როგორ დედებმა და გამდლებმა იციან: „ნუ სტარი, გინაცვალე, აი,
მე ვნებ ამასა—ჰე, ჰე! ვნებე, თუ არა?“ ამასთანავე ისიც მოჭყვება
ტყუილად ტირილს, ვინც ბავშვი აატარა. ან ამ გვარით ახუმებენ:
„ასაა შენზე, ვადეე იგივე, ვადეე ასე მოაჭვევი“—და სხვანა. თქმა
არ უნდა, რომ ორივე აქ მოყვანილი ღონისძაქანის მკნებლება არაან.
პირველი ქვევით ბავშვი ახსნება მადიერის გადახდა, ხოლო მეორე-
რითა—შიში და ისრობა მასში ის სითამამე და გაბედულობა, რომ-
მელნიც ასე საჭირთანი არაან აღამანისთვის ყველა შემთხვევაში. იმ

შემთხვევაში, როცა ბავშვი რამემ აატირა და გააჯავრა, ისევე სჯობია სხვა რაზედმე დაუწყოთ მას ღაპარაკი, ან ყურადღება მისი სხვა რაზედმე მიატვირთოთ და ის შემთხვევა ისე გაუქარწყლოთ.

წერილი მახუთა.

თქმა არ უნდა, რომ თქვენა შალიკო მიეჩვია თვით-მცველობას სხვა და სხვა სიფათებში. ახლა საჭიროა, რომ მან ისწავლოს თვით-მცველობა ყოველ გვარ სხვა შემთხვევაშიაც. აქ უნდა დიდი გაფრთხილება, რომ შალიკოს ძლიან მცირედ შეეწყოდეს კინძე; მაგალითად: თუ სელიდან რამე გაჰყარდა, თითონ აიღოს; ბურთი დაუგორდა, თითონ იპოვოს და აიღოს; ფანჯრიდან ყურება უნდა, მიიღვას რამე ფანჯარასთან, მერე ზედ შედგეს და ისე გაიხედოს ფანჯარაში. დაწოლის დროს თითონ უნდა გაიხადოს ტანისამოსი. ატრუთვე ადგომის დროს უნდა ასწავლოთ, რომ თვითონ დაიბანოს ხელ-პირი და თვითონვე ჩაიცვას. თუმცა ეს ძრეულ ძნელი შრომა არის თქვენთვის, მაგრამ, თუ სანგრძლივ და დიდხანს ებრძოდეთ, ეჭვი არ არის, დაიმორჩილებთ ამ სიმძნელესაც. „სუფთად რომ ვერ დაიბანს პირს შალიკო“, — მტყუთით თქვენა. მართალია, შალიკოს გაუძნელდება პირველათ ეს საქმე, მაგრამ ხუთჯერ და ათჯერ გამოსცადეთ, ასწავლეთ, იქონიეთ მოთმინება, და, გარწმუნებთ, რომ შალიკო ამ შრომასაც ისე მიეჩვევა და ისწავლის, როგორც თვით-მცველობა და სხვანი ისწავლა. რომ ბავშვმა თვითონ ისწავლოს ჩანმა და გახდა, ამისთვის საჭიროა, რომ მარტივად შეკერილი ტანისამოსი ჩააცვათ, ადვილად გასახდელი და ადვილად ჩასაცმელი. რაღაც ნაკერ-ნუკერი ტანსაცმელი სრულებით არ უნდა მიაკაროთ თქვენ ბავშვს. რომ სისუფთავესაც მიეჩვიოს და არც ტანისამოსი დაუსკუდეს პირის დაბანის დროს, ბავშვს ეუფლებ აჯავრეთ სოლმე განგებ ამისთვის დანიშნული გულსაფარი.

ბავშვებს ძრეულ უყვართ მოძრაობა. ამასე დამოკიდებულა ის

მოკლენა, რომ ბავშვები ხშირათ საიმოკნებით ასრულებენ დიდების დასაქმებას. ეს საყურადღებო თვისებაა ბავშვში და სავსებითაც უნდა ვისარგებლოთ მით, აი როგორ: მიანდეთ ხოლმე მას ადვილად ასასრულებელი საქმეები, დაუძახოს, მოიტანოს, აიღოს, დასკას, დაჭედეს, ადგეს. უკუაა ამ საქმის გაკეთებაზე ბავშვს უნდა მადლობა გადაუხადოთ, რომ იმან არ დაიზარა და საქმე გააკეთა. ამით ბავშვს ეხსნება თვისება დააფასოს გონივრული მოქმედება და გაიგოს, რას ნიშნავს საზოგადოთ მადლობა და როდის უნდა ვიხმაროთ იგი. არ დაივიწყოთ, რომ ჩვენში ბევრნი უხშობენ ნორჩ ბავშვებს იმისთანა თვისებებს, როგორც თვით-მოქმედება და თავისი ძალით მოქმედებაა. როცა ბავშვი შეუფერებელს რასმეს იტყვის, დიდები სიცილს მოჭეუებიან ხოლმე; ეს კარგი არ არის, რადგან ამის წყალობით არის, რომ ბავშვი ვეღარ ჭბუდავს თამამათ სთქვას თავისი აზრი. როცა რასმე გააფუტებს, მამინვე ან გაუწყობებიან, ან კიდევ დაცინვას დაუწყებენ ხოლმე, რითაც ვახვევთ ბავშვების ძალით მოქმედებას; ამისთანა ქცევა ნორჩ ბავშვებთან უნდა ყოველ შემთხვევაში მოსპობილ იყოს. მართლაც, დაცინვა ბევრს ასწორებს, მაგრამ იმისთანა ბავშვებს-გი არა, როგორც ჩვენი შალიკაა. დაცინვა მოუხდება ბავშვს ექვსი წლიდან მოკიდებული. ამისთანავე ძრეულ მაგნებელია ისიც, რომ ბავშვებს ესუძრებიან, ემასხარებიან, აწვალენ, ჭკოცნიან, ჭკბუნენ, სცემენ, ჩქმეტენ, რადგანაც ამ მასხარობის შემდეგ ბავშვი ზიზღით დაუწყებს ხოლმე უფრებას იმას, ვინც ემასხარებოდა და შემდეგში, თუ ეს მასხარობა ხშირათ არის ხმარებაში, სხვებსუდაც გადავა ეს ზიზღი და სიძულვილი.

ბავშვს, როგორც იცით, ძლიან უუყარს ცელქობა-თამაშობა. ეს სურვილი ბავშვისა ყოველ შემთხვევაში უნდა დავაკმაყოფილოთ, მაგრამ საქმე იმაშია, რაკვარი და რამდენს ხანს უნდა ბავშვს თამაშობა? თუ ბევრს სათამაშო ნივთის მისცემთ ბავშვს, საქმეს გააფუტვებთ, თუ ერთს ან ორს სათამაშოს მიუგდებთ, თქვენი ქცევა უსართლო და მოუსაზრებელი იქნება. როცა ბევრს სათამაშო ნაკ

თებს აძლეოთ ბავშვს, მაშინ, უკუღა სათამაშო ნივთი მიიქცევს იმის უურადადებს და ვერც ერთით ვერ ითამაშებს; მეორე უფრო რუდი შედეგი ის არის, რომ ბავშვი ვერ მოახერხებს დააწუოს წესზე ეს ნივთები, რომ ერთმანეთში დომხალავით არა ჰქონდეს არეული. თუ ერთისა და იმავე სათამაშოს მისცემთ მას, მაშინაც ბავშვს მოსწონდება მისი უურება და გულ-გრილათ დაუწუებს ცქერას. მიეცით ბავშვს სათამაშოთ ბურთი, ბზრალა და ხის კოჭები. ამასთანავე ასწავლეთ როგორ ითამაშოს. როცა თამაშობა მოსწონდეს, მიანიჭეთ, რომ სათამაშო ნივთები რიგზე დააწუოს; როცა დაავიწყდება რიგზე დაწუება, მაშინ უნდა უთხრათ: „შალავო, შენი ბურთა, შენა ბზრალა უპატრონოთა ყრია, ვინ იცის რა მოუვა-თქო“ და შალავოსაც მოუვა სურველი დააწუოს. ამ შემთხვევაში არავენ არ უნდა შეეწიოს. შალავომ თვითონ უნდა გააკეთოს საქმე, მოიყვანოს ცნობაში თავისი ნივთები. ბევრი სათამაშო ნივთების სუიდეა ბავშვისთვის საჭირო არ არის. საკმაოა ცოტა ჰქონდეს. მაგრამ ადვილათ სათამაშო-ვი იყოს.

ძალიან საჭიროა სსკა და სსკა ნახატები, სურათები. მაგრამ ნახატები ბავშვთან სიფრთხილით უნდა ინმაროთ. ბავშვს უოკველა ნახატი უნდა შეასწავლოთ; როცა ერთს შეისწავლის, მაშინ მეორე ნახატი მიეცით სელში და ესეც ამ გვარათვე შეასწავლეთ. რომ გაადვილდეს ნახატის შესწავლა, აი ეს ღონისძიება ინმარეთ: ყველა ნახატზე, ყველა უბრალე წერტილზედაც-ვი, მიაქციეთ ბავშვის უურადადება. ჯერ კითხვებით გაგებინეთ რა და რა არის დახატული, მერე ათქვეყანეთ ნახატზე მთელი მოთხრობა. ამ გვარათ ბავშვს რამდენიმე ნახატები შეასწავლეთ და გარწმუნებთ, რომ თქვენ სათამაშო ნივთებს ეს ემჭობინება.

წერილი მამასს.

მორჩილება ბავშვისა აუცილებელია ჰირობაა ბავშვის ჩნეობითი და გონებითი განხილავისთვის. ბევრი მშობელი უჩივის თავის შვილ-

ბას უჩრბას და თვით-ნიჭობას, თუნიც მხელი სჯემე არ არის, ბავ-
ში მორჩილებას და გავრნებას მიჩვირთ. ხშირათ გავრნებთ, რომ
ბავში დედას, მამადს და სხვას არ ემორჩილება, არ უგონებს, მაგ-
რამ მამას და მასწავლებელს-ვი ყველაფერს უჭერებს. ეს, რასაკვირ-
ველია, იმით ახსენება, რომ ბავში, ვისაც უფრო ხშირათ ჭხედავს,
იმას ისე ეჩვევა, რომ მეტის-მეტე სითამამით უჩრბოს და ანჩხლობს
მასთან, ხოლო, ვისაც იშვიათათ ჭხედავს, იმისი-ვი უფრო ესთრე-
ბა. ამისთვის, მამას და მასწავლებელს სათრთანთ ეჭრევა და დედას
და სხვა დახსლოკებულ ვირებს-ვი არა. მაგრამ ეს უფრო იმით ახსენ-
ბა, რომ ზოგმა არ იცის ბავშვების გულის შეთავსება. ხშირათ მოხ-
დება ხოლმე, რომ დედა შვილებს მამათ აშენებს: „ნუ გაყობ, შა-
ლოკო, თორემ მამას ვეტყვი და ის გაგლახავს“. ამისთანა ჭრევით
ბევრი სძაგელი თვისება იხსნება ბავშვში, რადგანაც ბავშვებთან უცრ-
დინარობით მოჭრევას იჭამდის მიჭყავს მშობლები, რომ ესენი თა-
კანთ შვილებს სასტიკათ ეჭრევიან: დასჯიან ხოლმე იმისთანა რა-
მეზე, რომლის შესრულებაც ვატარა არსებისთვის შეუძლებელი სჯე-
მეა. ვთქვათ დედა და შვილი დასეირნობენ ბაღში. ბავშვს ცელქობა
სწადიან, თავის ნებაზე სტუნვა-სირბილი, მაგრამ დედის მხრავ დაბ-
რკობებსა ჭხედავს. „ბალახზე ნუ ჭკორაობ, ტანისამოსი გაგი-
ფუჭდება“, — ეუბნება დედა. — „მიწაში ნუ ურეკ ხელებს, გამტკერან-
დებაო“. რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ხეზე ნუ ასვალ-მეთქი; ერ-
თი შეჭხედე, რასა ჭტავს შენი ახალი შარვალი; ვითომ მეც გამგო-
ნე შვილი მყავს. წინ ნუ მირბინარ, ჩვენთან იარე“ და კიდევ ბევ-
რი სხვა ამისთანეები ეუფრება ბავშვს. საწყალმა ბავშვმა აღარ იცის
რით გაირთოს თავი და არც სასტიკმა დედამ იცის, რა მოუხდება
მის ბავშვს. ეს მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ ვატარას ახალი ტა-
ნისამოსი არ გაუჭრევიანდეს და არ დაეკლიჯოს და ამ გაფრთხი-
ლებით რამდენი რამ აკლდება მის ბავშვს, ამაზე ესენი არ ფიქრო-
ბენ. თქვენ-ვი, ჩემო ბატონო, შეუყვრეთ შალიკოს ისეთი ტანისა-
მოსი, რომელიც მის უმაწვილურ სიმხიარულეს ბორკილს არ და

დებდეს; შეუკრთო უბრალო, მაგრამ მაგარი ტილოს ტანისამოსი ისეთი, რაც ადვილი სატარებელი და ადვილათ გასასდელი იქნება. მაშინ აღარ მოგიათ სურვილი შექსუთოთ ბავშვის ბუნება და წაართოთ ნება თავის ნებაზე გაჭრეკ-გამოჭრეკისა და სიმხარულისა!“ მაგალითებიდან დანახვით თქვენ, რომ სშირი დაშლა და აღკრძალვა აძნელებს მოწიფლებას. დაშლა და აღკრძალვა უნდა მაშინ, როდესაც მშობელი ჰხედავს, რომ თავისუფლებას რაიმე წიანი მოაქვს ბავშვის წნეობით ანუ ფიზიკური მსარისათვის. თუ არა და, მე ბერს ოჯახს ვიცნობ, სადაც ბავშვებს უოკელ-დღე წნეობით სწავლას უკითხავენ, არიგუენ და არათერი-კი გამოდის! როცა ამ ოჯახში ვარ ხოლმე, სული მეხუთება ბავშვების ცოდვით: ესენი უოკელ ფეხის გადადგმაზე შესრქეიან თავიანთ მშობლებს, რომ რაიმე ქრევისთვის საუკედური არ ძიიღონ. და განა გასაკვირველია ამის შემდეგ თქვას კარმა, რომ ბავშვებს სხვა ოჯახებში უოფნა უფრო უსარიანთ, ვინემ თავის ოჯახში? ამ დაბრძალულ მშობლებს რომ თავიც მოაქვთ ხოლმე ბავშვების ამისთანა აღზრდით: „ჩვენ—ჩვენ ბავშვებს თავისუფლებას არ ვაძლევთ, გვეუბნებიან ესენი; სშირათ უშლით ცელქობას, მაგრამ რა გამოვიდა, თავისას მანც არ იშლიან. საწყალო ბიჭუკებო, თქვით მშობლები როგორ გამსამებენ სიყმაწვილებს!..

თუ გნებავთ, მოწყალო ხელმწიფე, რომ ბერი ბრძანებით არც თქვენ შესწუხდეთ და არც თქვენ შვილი შეაწუხოთ, ერთს რასმე გირჩევთ: მიანიკეთ თქვენ ძალივლ წესსა და რიგსა, და თუ ასცილდება ამ რიგს, თქვენ ნუ-კი გაუჭავრდებით, საშინლათ გაიკვირკეთ, თუ როგორ მოუვიდა ამას ეს საქმე. თუ ბავშვის რომელიმე საქციელი ბრძანებას ან აკრძალვას მოითხოვს, რაც შეიძლება ღმობიერად და მოკლედ გამოხატეთ ეს ბრძანება; ნუ გააგონებთ ბავშვს ამ გვარ ბრძანებას: „შენ, ე, ღობიო გაგიფანტავს, მოკრიფე ამ საათშივე, თორემ სიცოცხლეს დავიმწარებ!“ განა შეიძლება კიდევ ამაზე უარესი ბრძანება ბავშვისთვის? რა შედეგი უნდა მოჰყუეს ამას, თქვენ

თითონ გამოცანით? სულ სხვაა ღმობიერად, ტკბილად ნათქვამი სიტყვა: „შალიკო, სკამი თავის ადგილას დადგო; მოკრიფე, შვილო, ღობიოს მარცვლები და უთუბი ჩაყარე“, — ასე ამ გვარად.

საჭიროთ ვთვლი აქ ისიც გავისხენო, რომ, ბავშვს, რასაც მიანდობთ გასაკეთებლათ, ეცადებით, რომ მან უეჭველათ შეასრულოს თქვენი მინდობილობა. უძმისათ ბავშვში მოწინააღმდეგეა კერძოდ. მაგალითებით ავსნათ ეს: ვთქვათ ბავშვმა თამაშობის დროს ღობიოს მარცვლები მოფანტა ოთახში. თქვენ გარდაწვევით დიდი გაქვთ ბავშვთან ერთად სეირნობა და უბრძანეთ მას: „მოაგროვე ღობიო და სასეირნოთ წავიდეთ. სთქვით ეს თუ არა, გასულით მეორე ოთახში ტანისამოსის გამოსაცვლელათ. როდესაც ბრუნდებით, ჰხედავთ, რომ საჭმე ნახევრათ გაუთავებულა; თქვენ იმუღებულნი ხართ თითონ აკრიფეთ და მერე შალიკოსთან ერთად წასვით სასეირნოთ. შალიკოს ეს გარემოება თავის დღეში არ დაავიწყდება; მეორეთაც ასევე გულგრილათ მოექცევა თქვენ დაუღლებას, როგორც წინეთ მოქცნა: იცის, რომ დედა არას ეტყვის, ვიროქით, თითონვე გაუკეთებს საჭმეს. ან კიდევ, ვთქვათ, მოაგროვა ღობიო, მაგრამ სრულად-კი არა, მხოლოდ აჭა-იჭა. ჰხედავთ კიდევ ამას, მაგრამ განუძებულნი ხართ და იქნება შეაქვთ კიდევ მოწინააღმდეგისათვის. დარწმუნებულნი ბრძანებოდეთ, რომ ბავშვი ისარგებლებს ამ გარემოებით: მეორეთ ის კარგათ აკრიფის მაგიერათ მიჭერის სადმე ჩუმი, რადგანაც მიუწა-მოყრა უფრო ადვილია, ვინემ ერთად მოაგროვება. კერე, ეცადებით ყოველთვის ასრულებასში მოაყვანოთ თქვენი განკარგულება, რადგანაც უძმისათ შალიკო მალე მიჭვდება, რომ შეიძლება ხანდახან დედის სურვილი არ შეასრულოს. ხანდახან აი რა საზიზღარ საშუალებას მიჭმართამენ ხოლმე ზოგიერთნი მორჩილების მოსაპოვებლად: ვთქვათ დედა უძმისათ თავის საში წლის ბავშვს, არჩილს, ვიროს დასაბანათ; არჩილს არ უნდა ვიროს დაბანა და იმალება. „თუ ჩემი შვილი ეხლავე არ მოვა და ვიროს არ დაიბანს, მე ვატირებ, აშობს დედა და, მართლაც, დაიწყებს ხოლმე

წმუკვას. არჩილი მოშმინდება და მიდის პირის დასახანთ. ან კიდევ დედა ეუბნება თავის შვილს: „შვილო, წადი, გენაცვალოს დედა და პირი დაიბანეს; თუ შემისრულეს ამას, ყინვარ-შაქარს მოგცემო“. მიდის ბავშვი და იბანს პირს, რომ საჩუქარი მიიღოს. ეჩვევა ბავშვი ამ რიგით სხვა და სხვა საჩუქრებს და უამისოთ აღარაფერს აკეთებს. დედას-გი ჭკონია, საჩუქრებს რომ ვაძლევ, მოჩინილი ხდებაო. რა შემცდარი აზრია? ბავშვს თავის დღეში ყოველდღე არ უნდა დაუნდნოთ იმისთვის, რომ მან თქვენი მონდობილობა შეასრულა. რასაკვირველია, აქ არც დაპირებას უნდა ჭკონდეს ალაგა. დაუმორჩილებლობასთვის შალაგო არ უნდა დასაჯოთ, არც უნდა დაემუქროთ, რადგანაც ეს მუქარისას ვერაფერს გაიტებს. მხოლოდ აგრძობიანეთ, რომ დედამ ადვილი საქმე მიახლო გასაკეთებლათ თავის საყვარელ შვილსა, და შვილმა-გი არ შეასრულა მისი მონდობილობა. ჟერ შეადგანეთ გარკვეული აზრი, თუ რაში მდგომარეობს შალიგოს მოვალეობა და მასშინ გამოუცხადეთ მას სასტიკი საუკუადური. აქ საჭიროა მტკიცე ხასიათი დედისა და მოხერხება საშუალების მოპოვებისა რომელიმე ბიწიერების დასათრგუნავათ და ნათელი მხარეებისა გასახსნელათ. მე დარწმუნებული ვარ, შალიგოს რომ სილა გააბრტყათ, თქვენვე იგრძნობთ ტკივილს და ის არა სჯობია, რომ უფრო გაცთომოყვარული დონისძიების ხმარებით მივახვედროთ ბავშვი იმას, თუ რას ნიშნავს დაჯერება და მოჩინილება.

წერილი მუხვილი.

გინახათ ნამდვილი ჟიუტი? ეგ, სწორეთ პატარა ნიკოა. მე-დამ გათხუზნული, ტირილის მეტს არას აკეთებს. როგორც ყოველი ჟიუტი, ესეც ისე იღმანტება და დაუწინარებლივ გაჭკივის: „არ მინდა გამდეღთან სადილის ჭამა, დედამ მაჭამოსო!“ ამ გვარს ამბავს სპირია და, რასაკვირველია, ნიკოს სურვილი ყოველთვის უთუოთ ასრულდება. მართლაც, მშობლები ნუგეშობენ, რომ ნიკო მაგარი

ხასიათის იქნება“,— როცა ის ყოველთვის თავის სიტუაციაზე სდგას, მაგრამ ყველა-გი შეაწუხა, განსაკუთრებით მშობლები, რომელნიც თითონ არიან დამნაშავენი, რომ ამ ცუდ თავისუბანს მიანიჭეს. როცა ნიკო აკვანში იწვას, უთუოთ უნდა ნანა ეთქვას, თორემ მისი ყვირილი ქვეყანას გააფრთხვებს. როდესაც წამოიზარდა, დედა მისი მუდამ ყურში ჩასძახებდა: „ნა გინდა, ნიკოჟან, რძე, თუ ჩაი? ჰური, თუ ნა-ფურქი? იქნება რძე და სუხარი გინდოდეს? გაძედიდურებულნი ბავშვი გაშინჯავდა რძეს და უკუ აგდებდა: „არ მინდა“— იტყოდა. არც სუხარი უნდა. თითონაც არ იცის ბავშვი, რა უნდა. „მამ ჩაი მიუტან, იქნება ჩაი უფრო ესამოკნოს“.— მაგრამ ნიკოს ჩაი არ უნდა, მიტომ, რომ ამ ფინჯანშია და არა სხვაში; თხოულობს მეორეს, მესამეს და სხ. ამ გვარად მიდის მისი დღე და სოფელი. ნამდვილია, რომ ბავშვი თითონ არ იცის, რა უნდა, ამიტომაც ყველაფერი არ უნდა შეაძლიოთ ერთ თავად. ამ ნაირმა ქვეყამ, რასაკვირველია, დაარწმუნა ნიკო, რომ ყველა მისი სურვილი უთუოთ შესრულდება და უნდა შესრულდეს კადეც. ეგ არაფერი. თავის სურვილს ხშირათ სიტუაციით-გი არ გამოსთქვამს, არა, ყვირის, თუცა ლაშარაკიც შეუძლიან. სახალა დედა-გი მუდამ იმის კითხვამა: „რა გავტირებს, ნიკო, რა გინდა, მითხარი და მოგცემ; ცხენი გინდა, ბურთი, თუ სვირნობა?“ ნიკო გაჭკვიის უფრო მომეტებულათ. საქმე იმაშია, რომ, როდესაც ბავშვი გაფრთხვება, თითონაც აღარ ესმის, რა უნდა. მიზენი, თუ რისთვის ფრთხვება ბავშვი, არის ჩვეულება, რომელიც დამყარებულა ყოველი მისი სურვილის შესრულებაზე. ფრთხობა ერთ გვარი ავთმყოფობა განხლავთ და ამ მდგომარეობიდან უთუოთ უნდა გამოიყანოთ ბავშვი, უნდა გააღვიძოთ მისი ტენი. ამ შემთხვევაში აღარა შეკლის-რა ბავშვს, თუ არა მისი ყურადღების მიქცევა სხვა რამ სვანზე, რომელსაც შეეძლოს, მიანიდოს მისი ცნობის-მოყვარება. ეს მის გრძნობას მოძრავობაში მოიყვანს, გააკვირვებს და თავის გარეწრობას უნებლიეთ შესცვლის, რასაკვირველია, რამდენათაც შესაძლებელია, უფრო რიგიან ქვეყაზე. ზოგ-

სა ჰგონია, რომ, თუ არ ცემით, ბავშვი ხასიათს ვერ გამოიხველი-
სო. ის-გი ავიწყლებათ, თუ რა ცუდ შთაბეჭდილებას ჰტკრის, რო-
გორც პატარა ბავშვს, ისე დიდს, ხელის ხლება და როგორ საჭი-
როა უსამოკუნო გარემოებას არ მიჰმართონ ხელმე. თუ ეს ასეა,
მანამ ბავშვი არ დაწინაურდეს და არ დამშვიდდეს, რამდენიც უნ-
და იყვიროს, მისი თხროგა არ უნდა შეასრულოთ, თორემ ბავშვი
ვერ გავიგებს, თუ რას სთხოვს მას მშობელი და თქვენც ვერ მიაღ-
წევთ მიზანს. საჭიროა, რასაკვირველია, რომ ბავშვის ჯიუტობას
მიხედეთ, თორემ ხშირათ ავსთმყოფ ბავშვს ჯიუტებაში აურევთ. ხში-
რათ, თამაშობის დროს, ბავშვები უმიზეზოთ უვიროან, ჩხუბობენ
და ბრანდებან. ეს მოხდება მაშინ, როცა ბავშვებს კბილი ეტკრე-
ბათ. ნუ დაივიწყებთ, რომ ზოგ შემთხვევაში ბავშვები ძილშიაც და
სიზმარშიაც კრთებან, იღვიძებენ და უვიროან. ამ გვარი ბავშვები
ნერვების ავსთმყოფობით არიან ავსთ. კიდევ უარესია, როცა ჯიუტი
ჟინიანი ხდება. უნდა ვიცოდეთ, რომ თან შეზრდილია თუ იქნება
ჟინიანობა, თორემ ბუნებით არავის არ დაჭყეება. მართალია, ხშირათ,
პატარაობიდან ვხედავთ ბავშვს ჟინიანს, მაგრამ ამის მიზეზი ადვი-
ლი გასაგებია: დაიბადება თუ არა ბავშვი, ყველაფრის ნებას აძლე-
ვენ მშობლები, რომ თითონ იცინონ და ისამოკუნონ. ხამდვილია,
რომ ბავშვის ყველა ქნება სსსაცილო და სსსამოკუნოა, მაგრამ ბო-
ლო მწარე აქვს ამ გვარ აღზრდას. რაკი ბავშვს თავისი მოთხოვ-
ნილება ჩვეულებათ გარდაექნება, შემდეგში დიდი შრომა სჭირია
კაცს, ამოფხვრას ბავშვში ეს ჩვეულება. თქვენ უშლით, არ აძლეკთ
ნებას, მაგრამ გაჩვეულ ბავშვს ეს ბრძანება აღარ ესმის...

წერილი მერვე.

ზვობა (Тшеславіе), თავმოყვარეობა და ეგოიზმი ბუნებით
არავის არ დაჭყეება, ესენი აღზრდით ვრცელდებიან და იწერებიან
ადამიანის ბუნებაში. რაჭი, ერთი შეხედეთ, რა გამოკვანძულია ეს

ბავშვი ამ კაბაში, რა ნაირად უხდება; თუ გამგონე იქნები, მრავალ ამისთანა კაბებს ჩაგადმეკ.“ აი რაები ესმით ჰაწაწინა გოგონებს თავიანთ დედებისგან. და თუ დედები იმდენათ ჭკვიანები არიან, რომ ამკაბებს არ გააგონებენ თავიანთ ქალიშვილებს, ამათი ნათესავეები და ნაცნობები ხომ საჭმეს აჭირებენ და რა გასაკვირველია, რომ ამ გვარად აღზრდილი ბავშვი უნებლიეთ თავის თავს უბედურათა სთვლის და ნაღვლობს კიდევ, როცა სხვასე დანახავს ასალ კაბას და ძალიან ყოყინობს ტოლ-ამხანაგებში, როდესაც ასალ ტანისამოსში გამოჭკანკლავენ მას. შალიკოსი-კი ნუ გეშინიანთ: ვაყებს ახალი ტანისამოსით კერ გააკვირვებ; ამათ ნაკლულევანებათაც უნდა ჩეთვალათ, რომ ვაყები საზოგადოთ არათერ ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ ტანისამოსსა და სრულიად არ უფრთხილდებიან.

შალიკომ შეიძლება ზვარბა შეითვისოს სულ სხვა წყარობიდან. ვთქვათ, დედას სტუმრათ ეწვია ვინმე მეგობარი ქალი. დედა უძახის მისინათვე თავის შვილს და ბიძგი აქებს თავის მეგობართან. სტუმარიც ეფერება ბავშვს და უფოლავებს: „აბა შენ ის მითხარი, ერთი კაი დიდი ლექსი რომ იცი; გაჩვენე ერთი შენი საუცნოაოთ დახატული რამ“, — ეუბნება დედა. ემაწვილიც თამამად უსრულებს დედას თხოვნას. — „უნდა გითხრათ, უამბობს დედა სტუმარს, რომ თავის წლოვანობასთან შედარებით ძალიან გამჭრიახი და გონებანი ემაწვილია ჩემი შვილი“, — და ამის დასამტკიცებლათ მოჭუჯვს რამდენიმე მაგალითი მისი გამჭრიახობისა! ამ მასლათის დროს, ბავშვი, თითქოს თამაშობაში არის კართული და მათი ლაშარაკისა არა ესმის-რავ; მაგრამ, განსაცვიფრებელი სძენა აქვთ ემაწვილებს, როცა იმათზე ლაშარაკობენ. ესენი გაკვრით ეკლავთურს ტოლილობენ, რაც ამათ შეეხებათ და ეკლავთური სჯურათ და ყოყინობენ. დედა თუ ერთსა და იმავეს ხშირათ განიმეორებს ეკლავსთან, რასაკვირველია, ბავშვი უფრო ძალიან დარწმუნდება თავის თავის მნიშვნელობაში და სხვას აღარაფრათ ჩაგდებას თავისთან შედარებით. ესენი რას კიდევ ქვემოერთსან შედარებით: ზოგიერთნი სცდილობენ

დაარწმუნონ თავიანთი შვილები, რომ ყველაფერი, რაც-ცა რომ არის ქვეყანაზე გაჩენილი, ყველა ამათთვის არსებობს და სხვა არავისთვის. „რეცხლი ათობს ჩემს ნიკოს, ძრახა ჩემს შვილს აძლევს რბეს, სესილი ჩემი შვილისთვის ისხამს ნულოფს“. ყველა ეს ესმის ბავშვს და დაბუჯითებით გაიძახას თათონა: „ქვეყანა ჩემია, ყველანა ჩემთვის მუშაობენ და ყველას ბატონი მე ვარ...“ თქმა არ უნდა, ამ გვარს აღზრდა უძაწილს უბედურათ ჰხდას, რადგანაც დღეს თუ სვალ თვითონვე დაარწმუნდება, რომ ყველა ეს ტყუილია. იგივე თქმის გამუდმებით ალერსის შესახებაც, რომლითაც აბუზარს მოჰყავთ ბავშვი და ძალძალ ათქმევინებენ ხოლმე: „დღეა, გენაცვა, დამესსენ, ტოლები მიცდიან სათამაშოთათ.“ ამიტომ, ვისაც უყვარს თქვენ ნათესავთაგანს შლიაკოსთან ალერსი, მაშინვე მოაშორეთ ხოლმე იგი მათ, როდესაც თქვენსა ძაკვიდნენ. გაარწმუნებთ, თქვენი შვილისთვის წმინდა ჰარზე სიბობილი და თამაშობა უფრო სასარგებლოა, ვიდრე თქვენი ნათესავის ფარისკელური ხვეწა და გონა. შენიშნულია კიდერ, რომ ბავშვს უფრო ის უყვარს, ვინც ნაკლებათ ეაღერსება და ხელს-ცა უწყობს მის თამაშობა-გართობას. შლიაკოს თავის დღეში არ უნდა გააგონოთ, რომ ის ძალიან გიჟვართ და დიდათ ზრუნავთ მასზე: ამას ხომ ისეც მიჰხვდება; ამას გარდა, ნურც აქებთ და ნურც აძაგებთ თითონ მას: თქვენ მის ქრევა-მოქმედებასთან გჭონდეთ საქმე და მოქმედებანი მისი უძაგეთ—თუ საძაგებელია, და აქეთ—თუ საქებია. ამითი თქვენ აჩვეთ ბავშვს ნაკლებათ იფიჭროს თავის პიროვნების მნიშვნელობაზე და მეტი უფრადლება მიაქციოს თავის მოქმედებას და გარეშე ქვეყნიერობას.

ენადენით, მოწყალეო ხელმწიფევე, რომ, როდესაც ბავშვების აღზრდას შესახებ ვისთანმე გეჭნებათ მასლათი, იმ დროს შლიაკო არ დაესწროს, იმისთვის, რომ ბუკრი რომ არის, რომელსაც ბავშვი გერ გაიგებს და თუ ზოგოვრთებს მიჰხვდება, ეცდება კიდერ, რომ წინააღუდგეს იმ ზომებს, რომლებიც ჭკუაში არ დაუჭდება. სე უნდა აღზარდოთ ბავშვი, რომ ამ უკანასკნელმა ვერ შენიშნოს,

თუ როგორც ზრდით მას. ვინც ასე მოაქცევს შვილების აღზრდა-ში, უოკელთების გამარჯვებულნი დაჩნება. ბავშვების შესახებაც შეიძ-ბა გიორგის სიტყვები განვიმოთხროთ: „ცრძნობენ რა სხვის გან-ძრახვას, მისინვე ცუდ გუნებაზე მოდიან“.

მართლაც-და, როდესაც ბავშვები შევნიშნავენ, რომ მათზე უნ-დათ გავლენა იქონიონ, ამ წამსვე მეტოქობა ჩნდება: იმათ როდი უნდათ, რომ ესენი სხვის მოქმედების საგნათ გასდნენ. ხანდახან გგონივრს ბავშვები უცნო უმადოების საზოგადოებაში ითვისებენ ხოლმე, მაგრამ ამის მიუხედავად არ მოაშორეთ არასოდეს თქვენნი შალაგო ბავშვების საზოგადოებას, იმიტომ რომ, რაც უნდა ბავშვუ-რათ ელაპარაკოთ, თქვენ მისი ტოლების მაგიერობას თავის დღე-ში ვერ გასწევთ; ბავშვი, რომელიც მუდამ დადების საზოგადოება-ში ტრიალებს, წლოვანების შეუფერებლათ დინჯდება-ტყვიანდება, თუ შეიძლება ესე ვთქვათ; ეს აქ, როგორათაც სელექციითი არსება, თავის თავს თავისუფლათ ვერა ჰგრძნობს ისე, როგორცათაც თავის ტოლებშია ხოლმე თავისუფალი. მართო ტოლების წრეში გამო-იკვეთა მისი თვისებანი, აღიზრდება მისი ღირსებანი. აქ მე, რა-საკვირველია, ნამდვილ ბავშვურ წრეზე ელაპარაკობ და არა დიდუ-ბის წინაშით პატარებისსაგან გამართულ წვეულებას-მასწავრადებზე, რომელზედაც 7—8 წლის ბიჭუნები თავიანთ სკოლის ამხანაგებს ბა-რათებით ეპატრიებანი ხოლმე.

ბევითაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ბავშვები თავის წრე-ში ეჩვენებიან გგონივრს. აი მაგალითებიც: ვთქვათ, ბავშვები ხილს შეეჭრებიან. „ნიკო, შვილო“, — ეჩუჩხულება მზრუნველი დედა თავის საუბარულ შვილს: — „კარგი მსსლები აი ამ მსსივ აწუვია, ესენი შენ აილე, არავის დაანებო!“ — ხანდახან კიდევ გარჯს ნაჭრესს ამას არ-გუნებენ ხოლმე ამხანაგების უჩუმრათ. თქვენ-კი, ჩემო მეტობარო, ენადენათ უმადოების საზოგადოებით სსარგებლოთ თქვენნი შალი-გო, მინვიეთ იგი, რომ თითონ ცოტა რამით დაგმყოფილდეს და სსიგებს მეტი და უკეთესი მისთავსოლს; ასწავლეთ დათმობა, როდუ-

საჩ ამხანაგები ჩხუბს დააპირებენ. როდესაც შალიკოს ტოლები წავიდ-წამოვიდნენ და ეს მარტოკა დარჩეს, თქვენ უეჭველათ ჩამო-უგდეთ მას ლაპარაკი მისი ამხანაგების კარგ მხარეებზე. რასაკვირ-ველია, თქვენთან ისეთი ბავშვები ივლიან, რომელნიც კარგი თვისე-ბისა და კეთილ აღზრდილნი არიან. ხშირათ მშობლები სულ წინააღ-მდეგს ლაპარაკობენ მათთან მისუფი ბავშვების შესახებ და ამ დასვენანს გამოიყვანენ ხოლმე ხანდახან: „ჩვენი ბავშვი თავის დღეში მაგას არ ჩაიდნისო.“ თქვენ-გი წასჩურობულეთ მამას, კითომდა შალიკოს არ ესმის: „დღეს ჩვენებთან ლეკანი იყო და რომ იცოდეთ, რა კარგათ იქცეოდა სადილობის დროს; წვეთიც არ დაუღვრია სუფრასზე, არც თითონ მოსკრიფა და არც სუფრა გაუსვრია. ამას გარდა, რა მს-სიამოვნებელი ყმაწვილი ყოფილა; მე ხელიდან წართი გამკარდა, ის ცოცხლათ დაეწოდა, აიღო და მომცა მე. რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი შალიკოც ასე იქცეოდეს.“ ამ მსლათს უფრო დიდი გაკლე-ნა ექნება, თუ-გი ისე მოახერხებთ ილაპარაკოთ, რომ კითომდა შა-ლიკოს ვერ ამჩნევთ, რომ იქ არის. შალიკომ არ უნდა შენიშნოს, რომ მისი მშობლები ამ გვარათ განკებ იმისთვის ლაპარაკობენ, რომ უკვლავური მოგონონ თავიანთ შვილს და მით იმოქმედონ მასზე.

როდესაც ყმაწვილებს იწვევთ შალიკოსთან სათამაშოთ, თქვენს მოკალეობათ უნდა ჩასთვალთ დაეხმაროთ აღზრდაში მათ მშობ-ლებს. ჰაწაწან სტუმრების ურიგო ქცევას მასწინძვლები უფურადლე-ბოთ დასტოვებენ ხოლმე, რადგანაც რიდი აქეთ მათი მშობლებისა; ამისთვისაც კარგს იზამთ შალიკოს ისეთი ბავშვები დაუახლოვოთ, რომლის მშობლებიც დიდის მადლობით მიეკებებიან, თუ მათს შვი-ლების ნაკლულეკანებას უფურადლებას მიაქცევს ვინმე. როდესაც შა-ლიკოც წავიდას სადმე სტუმრათ, თქვენც მუდარებით მოსთხოვეთ უკვლას იგივე. გარეთ უთრო ადვილია გარეშე ჰირთაცან დანახვა ამ ნაკლულეკანებისა, რომელიც ისიც შეჩვეულნი შინაურები ვერ შენიშნავენ ხოლმე. ამისთვისაც ურიგო არ იქნებოდა მშობლები ხშირ-ხშირათ უზიარებდნენ ერთმანეთს შენიშვნებს თავიანთ ბავშვების შესახებ.

